ვაკანსია

მამასახლისის თანამდებობაზე სრული განაკვეთი

საქართველოს გოეთეს ინსტიტუტი

გოეთეს ინსტიტუტი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთელს მსოფლიოში მოქმედი კულტურის ინსტიტუტია. ჩვენ ხელს ვუწყობთ უცხოეთში გერმანული ენის შესწავლას და ვეწევით საერთაშორისო კულტურულ თანამშრომლობას.

გოეთეს ინსტიტუტი საქართველოში აცხადებს ა/წ 1 სექტემბრიდან ვაკანსიას მამასახლისის თანამდებობაზე

მოვალეობები:

- ობიექტზე არსებული ტექნიკის (გათბობის, სავენტილაციო სისტემის და სხვა ელექტრო ხელსაწყოების) გამართული და შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფა.
- კომუნიკაცია ტექნიკური მომსახურების კომპანიებთან
- რეგულარული სამუშაოები, შენობის მწყობრში ყოფნისა და ცენტრალური ტექნიკის შეუფერხებელი მუშაობისათვის
- შენობის პატარა სარემონტო სამუშაოები და ავეჯის მოწესრიგება
- ზემოთ ჩამოთვლილი სამუშაოების ჩასატარებლად შესაბამისი მასალის შეძენა
- შეფუთვა და ტრანსპორტირება (გამოფენები და სხვ.)
- სხვადასხვა სახის სამეურნეო საქონლის შეძენა
- ღონისძიებებისათვის საჭირო ტექნიკის მომზადება (მაგ. გამოფენის აწყობა)
- ინსტიტუტისათვის საჭირო სხვა სამუშაოების მოგვარება

მოთხოვნები:

- შესაბამისი პროფესიული გამოცდილება
- კარგი ხელოსნური/ტექნიკური უნარები
- მზადყოფნა ახალის ასათვისებლად
- კეთილსინდისიერება და საიმედოობა
- გუნდური მუშობის და საკუთარი ინიციატივის გამოვლენის უნარი
- ქართული ენის ცოდნა
- ინგლისური ან გერმანული ენის საბაზისო ცოდნა ჩაითვლება უპირატესობად

ჩვენ გთავაზობთ:

ჯანმრთელობის დაზღვევას

სტაბილურ სამუშო ადგილს მეგობრულ, საერთაშორისო გუნდში

გთხოვთ, თქვენი საბუთები ქართულ ენაზე (სამოტივაციო წერილი, CV და შეძლებისდაგვარად სარეკომენდაციო წერილი), გამოაგზავნოთ **2026 წლის 21 ივლისის ჩათვლით ელექტრონული ფოსტის მისამართზე:**
bewerbungen-georgien@goethe.de

საკონტაქტო პირი:
სოფიო მდივნიშვილი-გრიზე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
☎ **+995 32 2938945,** sophia.mdivnishvili-griese@goethe.de